სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი

აჭარის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინიტრო

ბათუმის ზ. ფალიაშვილის სამუსიკო სასწავლებლის

საკონცერტო დარბაზი

4 ივნისი, პარასკევი, 18:00 სთ.

კონცერტი

აჭარის სახ. სიმფონიური ორკესტრი

სოლისტი - **პეტრონელ მალანი** - ფორტეპიანო
(სამხრეთ აფრიკის რესპ.)

დირიჟორი - **დავით მუქერია**

5 ივნისი, შაბათი, 11:00 სთ.

პეტრონელ მალანის მასტერკლასი
კონსერვატორიის სტუდენტებისთვის

2010 წელი

პეტრონელ მალანი - პიანისტი

დაიბადა სამხრეთ აფრიკაში. ფორტეპიანოზე დაკვრა დაიწყო ადრეულ ასაკში. მისი პირველი პედაგოგი იყო დედა. 10 წლის ასაკში შედგა მისი დებიუტი იოჰანესბურგის სიმფონიურ ორკესტრთან და გახდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნული კონკურსის ლაურეატი. ამის შემდეგ სწავლა განაგრძო აშშ-ში მიჩიგანისა და ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტებში, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ სტივე დე გრუტი, რალფ ვოტაპეკი და იოზეფ ბანოვეცი.

ამჟამად პ. მალანი ცხოვრობს და მოღვაწეობს აშშ-ში. არის რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და უმაღლესი ჯილდოების მფლობელი. მათ შორისაა ლოს ანჟელესის ლისტის სახელობის და ჰილტონ ჰედის საერთაშორისო კონკურსები.

2000 წელს მან მოიპოვა გრანპრი ვებ საკონცერტო კონკურსში.

არის გრემის სამგზის ნომინანტი, რომელთა შორისაა „საუკეთესო ინსტრუმენტული სოლო-ალბომი 2004“. CD-ს სახელწოდებაა „ტრანფორმირებული ბახი“ და ჩაწერილია ბარტოკის, ლიპატისა და ფრიდმანის ტრანკრიფციები ბახის თემებზე.

მისი შესრულებით გამოიცა ასევე სამი დისკი „ტრანფორმირებული მოცარტი“, რითაც გახდა ჩამწერი სტუდიის „Hänssler Classic“ ექსკლუზიური მუსიკოსი.

პ. მალანი აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (საფრანგეთი, ავსტრია, უნგრეთი და სხვ.); მართავს სოლო კონცერტებს, გამოდის კამერულ ანსამბლებთან, სიმფონიურ და კამერულ ორკესტრებთან ერთად, თანამშრომლობს ცნობილ დირიჟორებთან, რომელთა შორის არიან: ვასილი პეტრენკო, დიმიტრი მალინოვი, იოშიმი ტაკედა, ბერნარ გუელერი, ჯეიმს ბრუკი, რობერტ ჰანსონი და სხვ.

მას მჭიდრო კავშირი აქვს სამშობლოსთან - სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან. ეხმარება ახალგაზრდა მუსიკოსებს, ყოველწლიურად გასცემს თავის სახელობის სტიპენდიებს. 2003 წელს პ. მალანი დასახელდა ქვეყნის ათ საუკეთესო ქალბატონს შორის და მათთან ერთად მიიღო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდო „ბრწყინვალე ქალბატონი“.

იგი არის „ბლუტნერის“ საკონცერტო არტისტი.

„შტამბეჭდავი... თავბრუდამხვევი... ჯადოსნური...“, ასეთი ეპითეტებით ამკობენ პეტრონელ მალანის უნიკალურ საშემსრულებლო ხელოვნებას ნიუ-იორკის ცნობილი გამომცემლობები (www.petonelmalan.com).

დავით მუქერია - დირიჟორი

დაიბადა ქ. თბილისში. 1988 წლიდან ბათუმის ოპერის თეატრისა და სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელია. 2007 წლიდან არის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის დირიჟორი.

მისი ხელმძღვანელობით ბათუმის საოპერო თეატრში დაიდგა: ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, რ. ლაღიძის „ლელა“, ჯ. ვერდის „აიდა“, „ბალ-მასკარადი“, „ოტელო“. მან ასევე იდირიჟორა „აიდა“ მოსკოვში და „ოტელო“ ასპენდოზის საოპერო მუსიკის ფესტივალზე თურქეთში, „ტოსკა“ საოპერო მუსიკის ფესტივალზე „ბრავო“ თბილისში და სხვ.

2006-2008წ.წ. მონაწილეობდა I, II და III ფესტივალებში „აღდგომიდან ამაღლებამდე“. 2010 წელს დაჯილდოვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდის სიგელით ფესტივალში აქტიური მონაწილეობისთვის.

მუდმივად თანამშრომლობს საოპერო სცენის ოსტატებთან, სოლისტ-შემსრულებლებთან. მათ შორის აღსანიშნავია ლიანა ისაკაძე, მსტისლავ როსტროპოვიჩი და სხვ.

2009 წელს მონაწილეობდა ბათუმის I საერთაშორისო ფესტივალში „ღამის სერენადები“ (სამხატვრო ხელმძღვანელი - ლიანა ისაკაძე).

დავით მუქერია არის შოთა რუსთაველის და მემედ აბაშიძის სახელობის პრემიების ლაურეატი.

აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი

შეიქმნა 1977 წელს. მისი პირველი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი გიორგი გოცორიძე იყო.

1984-1987 წლებში ორკესტრს სათავეში ედგა დირიჟორი ტარიელ დუგლაძე, ხოლო 1988 წლიდან დღემდე მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია დავით მუქერია.

დღიდან დაარსებისა ორკესტრს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში, ეწევა აქტიურ საკონცერტო და საგანმანათლებლო მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს მასთან ერთად გამოდიოდნენ მრავალი ცნობილი სოლისტი და დირიჟორი. მათ შორის არიან: ეთერ ანჯაფარიძე, ელისო ბოლქვაძე, ლიანა ისაკაძე, მსტისლავ როსტროპოვიჩი და სხვ.

2010 წელს ლიანა ისაკაძის მიერ ორკესტრი ერთი საკონცერტო პროგრამით მიწვეულია ბათუმის II საერთაშორისო ფესტივალში „ღამის სერენადები“.

პ რ ო გ რ ა მ ა

ა. ვივალდი - კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისთვის „La notte“, სოლ მინორი

სოლისტი - სიმონ ბურჭულაძე

ლ. ვან ბეთჰოვენი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის №5,
მი ბემოლ მაჟორი, თხზ. 73 „საიმპერატორო“

სოლისტი - პეტრონელ მალანი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა)

ეძღვნება კომპოზიორის დაბადების 240 წლისთავს



პროექტის ორგანიზატორი
„აკაკი რამიშვილის ფონდი – ტრადიცია და ინოვაცია„